N 105 2016 წლის 26 თებერვალი ქ. თბილისი

„სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის წესისა და პირობების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს №136 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1. „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის წესისა და პირობების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს №136 დადგენილებაში (სსმ, 94, 12/08/2005) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „კ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„კ) ამ პუნქტის „ი“ ქვეპუნქტით განსაზღვრული თანხის გადახდის ვალდებულება წარმოიშობა სასარგებლო წიაღისეულის მარაგების სახელმწიფო უწყებათაშორისი კომისიის სხდომის ოქმის დამტკიცების თაობაზე მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მხარისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით ოფიციალურად გაცნობიდან და განისაზღვრება 15 დღის ვადით. ლიცენზიის მფლობელი უფლებამოსილია, სააგენტოსთან შეთანხმებით, ამ პუნქტის „ი“ ქვეპუნქტით

განსაზღვრული თანხის გადახდა განახორციელოს განწილვადებით, შემდეგი პირობების გათვალისწინებით:

კ.ა) არა უგვიანეს 3 თვის ვადაში დაფაროს თანხის არანაკლებ 35%;

კ.ბ) არა უგვიანეს 6 თვეში დაფაროს თანხის არანაკლებ 70%;

კ.გ) არა უგვიანეს ერთ წელიწადში დაფაროს თანხის 100%.“.

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი კვირიკაშვილი**